სამოქალაქო
ფორუმი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის

პროექტის დასახელება: “გაცნობიერებული მოქალაქე - დემოკრატიული მმართველობა“.

ააიპ „სამოქალაქო ფორუმი“

პროექტის განხორციელების პერიოდი: 25 სექტემბერი - 25 ოქტომბერი, 2020 წელი

პროექტის მიზანი

წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი ითვალისწინებდა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის განხორციელებას გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში, რომელთა ფარგლებშიც, პროექტის ბენეფიციარებს/სამიზნე ჯგუფებს აუმაღლდათ ცნობიერების დონე და ინფორმირებულობის ხარისხი მოქალაქეთა როლისა და მნიშვნელობის შესახებ მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების პროცესში.

საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის განხორციელების მეშვეობით პროექტმა ორი მთავარი ამოცანა გადაწყვიტა:

1. პროექტმა მიაღწია ერთ-ერთ მთავარ მიზანს და პროექტის მონაწილეებს (იძულებით გადაადგილებული პირები და ახალგაზრდები) საარჩევნო პროცესების შესახებ ცნობიერება აუმაღლა. პროექტის ბენეფიციარების მიერ მოხდა საკუთარი როლის გააზრება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესში აქტიური მონაწილეობის თაობაზე (იგულისხმება, როგორც წინასაარჩევნო პერიოდი, არჩევნების დღე და პოსტ-საარჩევნო პერიოდი);

2. პროექტის ბენეფიციარებს აუმაღლდათ ცოდნა და უნარები საარჩევნო საკითხებში და ქვეყნის წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაში მოქალაქის უფლებებისა და შესაძლებლობების თაობაზე.

პროექტის განხორციელების არეალი

პროექტი განხორციელდა შიდა ქართლის რეგიონში გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე

სამიზნე ჯგუფი

პროექტში მონაწილეობა მიიღო 60 მონაწილემ ანუ 15-15 მონაწილე გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტიდან. მათ შორის იყვნენ იძულებით გადაადგილებული პირებიც. მონაწილეთა შერჩევის დროს უპირატესობა მიენიჭა ქალებს. ადმინისტრაციული საზღვრისპირა სოფლებიდან და დევნილთა კომპაქტური ჩასახლებებიდან მონაწილეთა ტრანსპორტირება ტრენინგის ადგილზე და უკან მოხდა პროექტის მიერ დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებით.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა

პროექტი განხორციელდა სასწავლო-საინფორმაციო პროგრამის მეშვეობით. პროგრამა მოიცავდა 3 სატრენინგო დღეს და ერთდღიან საინფორმაციო შეხვედრას საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მონაწილეობით. ჯამში, პროექტის განმავლობაში ჩატარდა 4 სასწავლო-საინფორმაციო პროგრამა, თითო პროგრამა ყოველ მუნიციპალიტეტში (გორი, კასპი, ქარელი და ხაშური). ერთ პროგრამას საშუალოდ ესწრებოდა 15 მონაწილე, ჯამში პროექტმა მოიცვა 60 ბენეფიციარი.

სასწავლო-საინფორმაციო პროგრამის მიმდინარეობისას მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ ლანჩით და ორჯერადი ყავა/ჩაის შესვენებით.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა

ფლაერების დარიგება, 3 ოქტომბერი

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა

გორის ახალგაზრდებს ხვდება საოლქო კომისიის წარმომადგენელი (4 ოქტომბერი)

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა

ტრენინგები კასპის, ხაშურისა და ქარელის ბენეფიციარებთან (12 და 18 ოქტომბერი)



პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები)

პროექტმა ხელი შეუწყო მონაწილეების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, საშუალება მისცა ახალგაზრდებს, რომ მიეღოთ საჭირო ინფორმაცია საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით და გაეაზრებინათ საკუთარი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე.

პროექტის ბენეფიციარებს/სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ახალგაზრდა ამომრჩევლები და იძულებით გადაადგილებული პირები. პროექტს ჯამში ჰყავდა 60 ბენეფიციარი.

გამოწვევები და გადაჭრის გზები

პროექტის გამოწვევას წარმოადგენდა კოვიდ 19-ის პანდემია. თუმცა, პროექტის ფარგლებში მოხერხდა დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარება უსაფრთხო გარემოში.

მადლობა ყურადღებისთვის